

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ. №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიოლოგიის დოქტორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	პროგრამის მოცულობა არის 60 ECTS , რომელიც სასწავლო კომპონენტებისთვისაა განკუთვნილი. მათ შორის 35 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს, თავისუფალი სავალდებულო კურსისათვის განკუთვნილია 5 კრ, თავისუფალი არჩევითი კომპონენტებისათვის კი - 20 კრედიტი (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი). სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტის ორი კოლოკვიუმი, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომის ნაწილია.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ბიოლოგია რთული და მრავალდარგოვანი მეცნიერებაა. მისი მიღწევები დაკავშირებულია ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით ფართო სპექტრით კვლევით საქმიანობასთან თავისი თანამედროვე რეგიონული და გლობალური პრობლემატიკით, რაც შესაბამისი ობიექტების გამოყენებით სპეციფიკურ მეთოდებსა და მიდგომებს საჭიროებს. ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამა განსაზღვრულია ბიოლოგიის დოქტორის მოსამზადებლად. იგი აგებულია რეგიონისა და უნივერსიტეტის პრიორიტეტების გათვალისწინებით. მისი მიზანია: ბიოლოგიური მეცნიერებების, როგორც ერთიანი მთლიანი სისტემის ცალკეული დარგის, ქვედარგისა თუ დარგთაშორისი სფეროების უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული ცოდნის შეძენა, უახლესი თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების (მოლეკულურბიოლოგიური კვლევის მეთოდებისა და ტექნიკის; სეროლოგიური, ციტოგენეტიკური და იმუნოლოგიური, მიკრობიოლოგიური კვლევის, in-vitro ტექნოლოგიების, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და ჰიდრობიოლოგიური კვლევის მეთოდების) გამოყენების შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე მიღებული მეცნიერული შედეგებისა და განზოგადებათა გაანალიზების, გაცნობიერებისა და საჭირო შემთხვევაში კრიტიკულად გადაფასების უნარ-ჩვევების გამომუშავება; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიციური, ინოვაციური მეცნიერული კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკულ-გამოყენებითი პროექტების ხელმძღვანელობის, ამოცანების მკაფიო ფორმულირებისა და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენებისა და პროფესიულ საქმიანობაში სამეცნიერო ეთიკის ძირითადი პრინციპების გამოყენების უნარით აღჭურვა. ცოდნის გაფართოებაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების შემუშავება, რაც შეიძლება აისახოს საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.
სწავლის შედეგები	პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს ექნება ბიოლოგიური მეცნიერებების, როგორც ერთიანი მთლიანი სისტემის ცალკეული დარგის, ქვედარგისა თუ დარგთაშორისი სფეროების უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მთლიანობაში მისი სისტემური და კრიტიკული გააზრების, ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს, ასევე, ცოდნა განათლების სფეროში არსებული თეორიებისა და თანამედროვე მიმართულებების, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების შესახებ. უახლესი თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე შეძლებს მეცნიერული შედეგებისა და განზოგადებების გაანალიზებას, გაცნობიერებას და საჭირო შემთხვევაში კრიტიკულად გადაფასებას. შეძლებს, მიღებული მეცნიერული ცოდნის საფუძველზე დაგეგმოს კვალიფიციური ინოვაციური მეცნიერული კვლევა, ადაპტირება გაუკეთოს ან შეიმუშაოს ცოდნის გაფართოებაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი თუ ანალიტიკური მეთოდები და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით აწარმოოს აქტიური კვლევა ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით (მოლეკულურბიოლოგიური, სეროლოგიური, ციტოგენეტიკური და იმუნოლოგიური, მიკრობიოლოგიური, in-vitro კვლევის, ბიომრავალფეროვნებისა და ჰიდრობიოლოგიის), რაც შეიძლება აისახოს საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. ექნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების პრაქტიკულად განხორციელების უნარ-ჩვევები.

<p>შეფასების წესი</p>	<p>საბოლოო შეფასება - 100 ქულა. ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით A, B, C, D, E, FX, F.</p> <table border="0"> <thead> <tr> <th>ECTS-ის შეფასება</th> <th>ქულა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>A – ფრიადი</td> <td>91-100</td> </tr> <tr> <td>B – ძალიან კარგი</td> <td>81-90</td> </tr> <tr> <td>C – კარგი</td> <td>71-80</td> </tr> <tr> <td>D – დამაკმაყოფილებელი</td> <td>61-70</td> </tr> <tr> <td>E – საკმარისი</td> <td>51-60</td> </tr> <tr> <td>FX – ვერ ჩააბარა</td> <td>41-50</td> </tr> <tr> <td>F – ჩაიჭრა</td> <td>0-40</td> </tr> </tbody> </table>	ECTS-ის შეფასება	ქულა	A – ფრიადი	91-100	B – ძალიან კარგი	81-90	C – კარგი	71-80	D – დამაკმაყოფილებელი	61-70	E – საკმარისი	51-60	FX – ვერ ჩააბარა	41-50	F – ჩაიჭრა	0-40
ECTS-ის შეფასება	ქულა																
A – ფრიადი	91-100																
B – ძალიან კარგი	81-90																
C – კარგი	71-80																
D – დამაკმაყოფილებელი	61-70																
E – საკმარისი	51-60																
FX – ვერ ჩააბარა	41-50																
F – ჩაიჭრა	0-40																
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები: ქეთევან დოლიძე, პროფესორი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ტელეფონი: 577 78 35 05 ელ-ფოსტა: dolidze.qetevani@bsu.edu.ge დავით ბარათაშვილი, პროფესორი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ტელეფონი: 593-32-81-84; 577 46 54 54 ელ- ფოსტა: baratashvili.daviti@bsu.edu.ge,</p>																